



საკოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღას

№ 32

აგვისტო 6 1900

№ 32

გაზეთის ფასი: ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზავ. 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მან. სამი თვით გაუგზავ. 2 მან., გაგზავნით 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაურათ.

ხელის-მოწერა ძაადება: თფლისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101) და თვით „ქველის“ რედაქციაში არტილერის ქუჩა, № 5. ფოსტის აღრესი: Тифлисъ. Редакция „**ქველი**“.

შინაარსი: ომი ჩინეთში ფ. მახარაძისა. — სხვა-და-სხვა ამბები. — „ქველი“-ს კორესპონდენტები. — ჩინეთის ამბები. — ნეკროლოგი: ვლადიმერ სოლოვიოვი, ვილჰელმ ლიბკნეხტი. — ფაქტები გურიის ცხოვრებიდან ახლათ გადმოსახლებულისა. — * * * ლექსი ი. ევლოშვილისა. — ახალი გზა (დასასრული) ი. გომართლისა. — ივანეს ოჯახის თავგადასავალი (დასასრული) პარტენაშვილისა და განცხადებები.

რედაქციისაგან: ჭიათურის შავი-ქვის მწარმოებელთა კრების ანგარიში, რომელიც 26 ივლისს გაიხსნა ქ. ქუთაისში, „ქველში“ დაიბეჭდება, როცა ეს კრება დასრულდება.

ომი ჩინეთში



ამდენ ხანს გასტანს ჩინეთის ომი, რა მოყვება მას, — აი უპირველესი კითხვები, რომლებიც გაისმის დღეს საზოგადოებაში ყოველგან: დიდი თუ პატარა, წარჩინებული პირი თუ უბრალო მომაკვდავი, შეგნებული თუ შეუგნებელი, ყველა ამ კითხვებს იძლევა, ყველას ვინტერესება მათზე მსჯელობა და პასუხის მიცემა. მართალია, ინგლის-ტრანსვაალის ომმაც დიდი ყურადღება მიიქცია, მაგრამ სულ სხვას წარმოადგენს დღევანდელი ომი ჩინეთში. ჩინეთის ამბებმა ორ ნაწილათ გაჰყვეს მთელი კაცობრიობა: ერთ მხარეზე დგას მარტო-მარტო ჩინეთი, რომელსაც არსაით მომხრე არაჰყავს, და მეორეზე — თითქმის მთელი დანარჩენი კაცობრიობა, თითქმის განგებ პირობა შეეკრათ პირველის წინააღმდეგ. მაგრამ ერთი კი ვიკითხოთ, თუ რა არის ჩინეთი?



იტალიელი ქალი ყურძენს ჰკრებს.

ამ კითხვაზე მოკლეთ პასუხის მიცემა ძნელია. ეს ბუმბერაზი სახელმწიფო, რომელშიაც მცხოვრებთა რიცხვი 400 მილიონამდე აღის, ორი ათასი წელიწადი გადის რომ განმარტოვებით, თავის საარაკო კედლებს შუა, ცხოვრობს თავისთვის, თითქოს სრულიად დავეიწყებინოს, რომ დედა-მიწის ზურგზე კიდევ არსებობს სხვა ხალხი. ამ ნიჭიერმა ხალხმა, რომლის მაღალმა გონებამ და ზნეობამ ჯერ კიდევ ორი ათასის წლის წინეთ, როცა დღევანდელი განათლებული ევროპა ადამიანთა ველურ ჯგუფებით იყო დასახლებული და ისიც მხოლოდ ალაგ-ალაგ, გამოიგონა წერის და სტამბვის ნიშნები, თოფის წამალი და მრავალი სხვა, შეიმუშავა შესანიშნავი ფილოსოფია, შექმნა ისტორია, მწერლობა და მიაღწია რა კულტურის მაღალ საფეხურამდე, შეჩერდა, უარყო წინსვლა; იმის მაგივრათ, რომ გაეუმჯობესებია თვის გარეგანი ნივთიერი მდგომარეობა და სოციალური პირობები, მთელი თავისი ძალა მიაპყრო მხოლოდ თავის სულიერ მხარეს და ყოველივე საშუალება იხმარა, რომ ადამიანში აღმოეფხვრა ყოველივე მისწრაფება და სურვილი თავისი მდგომარეობის გაუმჯობესობისადმი. ამნაირათ თითქმის ორი ათასის წლის წინეთ შეწყდა ჩინელი ხალხის კულტურული მოძრაობა; მისი მჯავის ცემა თითქო შეჩერდა. ჩინელმა ხალხმა თითქო გაიგო ამ ქვეყნის ამაოება, ამიტომ მიახწია რა კულტურის მაღალ საფეხურს, უარჰყო ქვეყნის სიამოვნება; მან ამჯობინა წყნარი, შეუშფოთებელი ცხოვრება, სრული კმაყოფილება არსებული წეს-წყობილებით. ერთი სიტყვით, ჩინელმა ხალხმა საუცხოვოთ შეიგნო და შეითვისა თვისი ფილოსოფოსების და იმათ შორის უშესანიშნავესი კონფუციის მოძღვრება. დედა-მიწის ზურგზე არ მოიპოვება მეორე ისეთი ხალხი, რომელსაც ამოდენი ხანი ეცხოვროს და ისე უცვლელათ შენახულიყოს, როგორც ჩინელები. განვიღეს საუკუნოებმა, თითქმის ბუნებაც კი გამოიცვალა, კაცობრიობის თავზე მრავალმა ქარტეხილმა გადაიარა, მისი გარეგანი სახე და შინაური წყობილება, საზოგადოებრივი ურთიერთობა, რამდენიმეჯერ ძირიანათ შეიცვალა. მაგრამ ჩინელები ისევ ისეთები არიან, როგორც ამ ორი ათასის წლის წინეთ იყვნენ. ასეთი სიმტკიცე და სიმაგრე ძველი წეს-წყობილების და ერთხელ გამეფებული მდგომარეობის დაცვაში შეადგენს განსაკუთრებულ თვისებას აზიის თითქმის ყველა სახელმწიფოთა და ერთა. ასეთია არა მარტო ჩინეთი, არამედ ინდოეთიც, სპარსეთიც, ოსმალეთიც და აზიის სხვა წვრილი ერებიც. მოვიგონოთ, რამდენათ ძნელია, თუ სრულიებით შეუძლებელი არა, იმათში სულ მცირე-

ოდენი ცვლილების შემოღება¹⁾. ამნაირათ აზია თავისი მცხოვრებლებით წარმოგვიდგენს ევროპის და ევროპიელთა სრულ წინააღმდეგობას. თუ აზია სიმბოლოა უცვლელობის, ძველ ზნე-ჩვეულებათა და წესთა შეურყველათ შენახვით, ევროპა სამაგიეროთ სიმბოლოა ყოველგვარ ცვლილებათა. მას შემდეგ რაც აზიაში და განსაკუთრებით ჩინეთში შეწყდა მოძრაობა და სოციალური ცხოვრება თითქო გაქვავდა, ევროპამ რამდენიმეჯერ შეიცვალა თავისი გარეგანი სახე და შინაური საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო წეს-წყობილება, და ეს არა თუ შინ, არამედ ყოველგან, სადაც კი მისწვდამისი გავლენა. მე-XV საუკუნიდან დაწყებული ევროპამ დაუმორჩილა თავის გავლენას, ე. ი. გააევროპიელა, თითქმის მთელი ქვეყნიერება, გარდა აზიის ბუმბერაზ სახელმწიფოებისა, რომლებშიაც პირველი ალაგი ჩინეთს უჭირავს. მართალია, იეზუიტებმა დიდი ხანია შეადგეს ჩინეთის კარებიც დაიწყეს, იქ ქრისტიანობის ქადაგებასთან ერთათ ევროპის ნაწარმოებთა გავრცელება, რამდენსამე ათას ჩინელს კიდევაც მიაღებინეს გარეგნობით ქრისტიანული სარწმუნოება, მაგრამ დღემდის ჩინეთი დარჩენილია ევროპის კულტურის მხრით ხელ-უხლებათ, დღემდის ჩინეთის და ევროპის კულტურა ორ სრულიად სხვა-და-სხვა პრინციპს წარმოადგენს; და იმათი შეთანხმება არა თუ ყოველად შეუძლებელია, არამედ ერთი მეორეს სრულ მოსპობას, განადგურებას უქადის. ყველასათვის ცხადია, რომ უბრძოლველათ ამ კითხვის გადაწყვეტა აღარ მოხდება; და დღევანდელი ომი ჩინეთში ამ ბრძოლის დასასრული კი არ არის, როგორც ეს ბევრს გონია, არამედ მხოლოდ პირველი დასაწყისი. რომ ევროპის კულტურამ, ადრე იქნება თუ გვიან, უნდა ძლიოს ჩინეთისას, ამაში ჩვენ არაოდეს ეჭვი არ შეგვიტანია, მაგრამ ადვილობრივმა პირობებმა და ფილოსოფიის განსაკუთრებულმა მიმართულებამ იმდენათ გაწვრთნეს და გამოწაფეს ჩინელი ხალხი ყოველგვარი განსაცდელის, გასაჭირის და ვაების ატანაში, რომ იგი ადვილათ არ დამორჩილდება ევროპის კულტურის ზეგავლენას; მით უმეტეს, თუ რომ ეს დამორჩილება მოხდება გარეგანი ძალდატანებით, ე. ი. ომის საშუალებით, როგორც დღეს. ასეთი დასკვნა გამოგვეყავს ჩვენ იმ მცირეოდენი ცნობებისაგან, რომლებიც ევროპის დრო-გამოშვებით გამოცემებში იბეჭდება დღეს ჩინეთის შესახებ.

1) Нѣтъ правила безъ исключенія—ამბობს რუსული ანდაზა, და სწორეთ ამ კანონს ამტკიცებს იაპონია, რომელიც თავიდან ფეხამდე აზიის შვილია, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში აზიელობას თავს ახწევს და ყოველი მხრით ევროპიელდება.

ამ ცნობებიდან ჩვენ ვხედავთ ერთი მხრით იმას, რომ თუ წინეთ ვერობიელთ შიში და მორიდება ჰქონდათ ჩინეთის იმპერიისა და ამიტომ გარეგანი პატივისცემით ექცეოდნენ მას, დღეს ეს ასე აღარ არის, და მეორე მხრით იმას, რომ თუ წინეთ თვით ჩინელებიც გულ-გრილათ უყურებდნენ ევროპიელების ყოფნას და მიმოსვლას ჩინეთში სამისიონერო თუ სააღმსახურო მიზნით, დღეს ეს გარემოებაც სრულიად შეიცვალა. ამ უკანასკნელ ხანებში ევროპიელები იმ დასკვნამდის მივიდნენ, რომ ჩინეთს აღარავითარი ძალა აღარ აქვს ევროპას რაიმე წინააღმდეგობა გაუწიოს. ასეთ დასკვნას საფუძველი მიეცა უფრო მას შემდეგ, რაც ჩინეთი დაამარცხა შედარებით პატარა იაპონიამ. აქედან იწყება ჩინეთის ეროვნული სახელის შელახვა, მისი დამცირება და დამოუკიდებლობის დაკარგვის ნიშნები. იაპონიას დაეთმო ფორმოზა სამი მილიონი მცხოვრებით. ამავე დროს ორი გერმანელი მისიონერის მოკვლის გამო ჩინეთი იძულებული გახდა გერმანიისათვის კიაო-ჩაუ დაეთმო. ამას თავის თავათ მოჰყვა დაჭერა რუსეთის მიერ პორტ-არტურის და ტალიენვანის, ინგლისელების მიერ ვეი-ხაი-ვეის და ფრანგების მიერ კვან-ჯაუს. აშკარაა, იაპონიის გამარჯვება ჩინელებისთვის ისე სათაკილო არ იქნებოდა, როგორც ევროპიელების მიერ სხვა და სხვა ნავთ-სადგურების და სააღმსახურო და სამრეწველო ადგილების დაჭერა ჩინეთის მიდამოზე. ჩინელმა ხალხმა პირველათ იგრძნო თავის შეურაცყოფა. მაგრამ იმას კიდევ დიდ ხანს შეეძლო მოთმენა, რომ ევროპიელები კიდევ უფრო შორს არ წასულიყვნენ. ევროპიელები მეტის-მეტათ გაუთამამდნენ ჩინეთს, რომელსაც ყოველი მხრიდან შეესივნენ, დაუწყეს ჩინეთის მთავრობას პირდაპირ ბრძანების კილოით მიმართვა და მოაკლეს მას ის გარეგანი პატივისცემაც კი, რომელიც წინეთ ჰქონდათ. ევროპიელ ვაჭრებმა გააბეს ქსელი ჩინეთის საუკეთესო ნაწილებში ჩინელი ხალხის გასაყვლეფათ: იმათი ბაკები, სავაჭრო და საკომისიონერო სახლები, კანტორები და რკინის გზები შეიქნენ იმ მიღებათ, რომლებიდანაც ისინი სწოვენ ჩინელების სისხლს, ე. ი. მათ სიმდიდრეს. ამიტომ თუ აქამდის ევროპიელების შესევას ჩინელი ხალხი დიდ ყურადღებას არ აქცევდა, ახლა ასე აღარ შეიძლება. ხალხი ძალაუვნებურათ მიხვდა, რომ მისი სიმდიდრე, მისი ცხოვრების წყარო, ბანკების, რკინის გზების და კანტორების საშუალებით სხვა ქვეყნებში გადადიოდა, და როცა ჩინელი ხალხი ამას მიხვდა, მაშინ მიუცილებლათ უნდა მომხდარიყო ის, რაც დღეს ხდება ჩინეთში. გერმანელი ელჩის, ბარონ კეტტელერის

მოურიდებელმა საქციელმა, რითაც მან შეურაცხა ჩინეთის სახელმწიფო დაწესებულება და ჩინელი ხალხის ზნე-ჩვეულება და რამაც მისი მოკვლა გამოიწვია, მხოლოდ დაახლოებულ დღეებში ბრძოლა, რომელიც ადრე იქნებოდა თუ გვიან უსათუოთ უნდა მომხდარიყო. რომ დღევანდელ ომს ჩინეთში უცხოელების წინააღმდეგ შემთხვევითი ხსიათი არა აქვს, ამას, სხვათა შორის, აშკარათ მოწმობს ის გარემოებაც, რომ ეს მოძრაობა დღითი დღე მატულობს და იზრდება. არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ამასვე ამტკიცებს. ცნობილია, თუ როგორი მეგობრული კავშირი არსებობდა დიდი ხნიდან ჩინეთსა და რუსეთს შორის. და მართლაც, როგორც ჩინეთის მთავრობა, ისე თვით ჩინეთის ხალხიც, ყველაზე უფრო ნდობით შეყურებდნენ რუსეთს, რაც რამდენიმეჯერ აღიარებული იყო ორივე მხრით. ახლა წარმოიდგინეთ რა ხარისხამდე უნდა იყოს მიღწეული ჩინელების აშფოთება და ზიზღი უცხოელების მიმართ, როცა იმათ არა თუ არ დაზოგეს რუსეთი, არამედ დღემდის ყველაზე მეტ მტრულ მოქმედებას მის წინააღმდეგ იჩინენ. მართლაც გარემოება ამტკიცებს, რომ ჩინეთი დღეს აღარ ხუმრობს, რომ მისი დამშვიდება დღეს ისე ადვილათ აღარ შეიძლება, როგორც წინეთ ფიქრობდნენ. როცა ამ ორი თვის წინეთ პირველათ გაისმა ხმა ევროპიელ მისიონერების ამოწყვეტის შესახებ ჩინეთში, ეს მიაწერეს ვილაც „ბოქსერების“, „დიდი მუშტის“ მიმდევართა, მოქმედებას. ყველას ეს რაღაც მასხრობა ეგონა. მაგრამ როცა ამ ბოქსერების მოძრაობამ ხალხში ღრმა ფესვები გაიდგა, მაშინ ყველამ გამოჰყიტა თვალები და ერთ ხმათ აღიარებულ აქმნა საშიშარი მდგომარეობა. მაშ ვინ ყოფილან ეს ბოქსერები? ის ბუსუსი, რომელიც ამ სახელწოდების გამო ისეთაც სიბნელით მოკულ მთელ ამ მოძრაობას მოეფინა, დღეს თანდათან ჰქრება. ერთი ჩინელი ავტორის განმარტებით, ბოქსერების საზოგადოება ძველის ძველია და წარმოადგენს გზის მაჩვენებელთა და ქარავნების მფარველთა ამხანაგობებს, რომლების წევრებათ მიიღებიან ზორბა და ღონიერი ვაჟაკები, რომლებიც ძლიერ საჭირონი არიან ქარავნების უვნებლათ მოგზაურობისათვის. მაგრამ რკინის გზის გაყვანის შემდეგ იმათი ხელობა უსარგებლო უნდა გამხდარიყო, და აქედან აიხსნება სხვათა შორის ის რომ იმათ ყველაზე უფრო რკინის გზები ეჯავრებათ. მეორე ჩინელი ავტორი ჩანელების უკმაყოფილებას ევროპელთა საქციელის შესახებ აძლევს უფრო ფართო განმარტებას. უჩვენებს რა, თუ რა უფსკრული არსებობს ევროპასა და ჩინეთს შორის, ის ასახელებს მიზეზებს

რომლებმაც დაბადეს ჩინელებში სიძულვილი ევროპიელთა მიმართ. ამ სიძულვილის დედა-აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ევროპიელები მიდიან ჩინეთში, ძალ-დატანებით აზრიან ჩინელებს თავიანთ სარწმუნოებას, ზნე-ჩვეულებას, რკინის გზებს, მაშინებს, თავიანთ ფაბრიკულ ნაწარმოებს, ესახლებიან იმათ მიწა-წყალზე, და შეურაცყოფას აყენებენ, იმათ დაწესებულებას და ზნე-ჩვეულებას. მაგრამ გრძნობენ რა ასეთ შევიწროებას, ჩინელები დღეს დარწმუნებული არიან, რომ თუ მოინდომებენ ისინი თავიანთ შორის საკმარის ძალას მოიპოვებენ სამაგიერო გადაუხადონ. ევროპიელნი ძლიერ სტყუვდებიან, თუ ფიქრობენ, რომ ჩინელები არც ისე უვიცი არიან, რომ თავისი ძალ-ღონის დაფასება არ შეეძლოთ. დაგვიანებთ თავი და თქვენი არა გვინდარაო, — ასე ათაგებს ავტორი თავის წერილს ევროპიელების მიმართ. ამავე აზრის ყიფილა, როგორც გაზეთები გვატყობინებენ, ისეთი გავლენიანი პირი, როგორიც ცნობილი ლი-ხუნ-ჰჩანია. იმის სიტყვით დღეის იქით „ჩინეთი ერთ ხელის დადება მიწასაც აღარ დაუთმობს უცხოელებს“.

ევროპა სასტიკათ შეცდა, როცა ჩინეთის ბედის გადაწყვეტა მოინდომა ისე, ვითომც ეს პატარა ქვეყანა ყოფილიყო, და ეს შეცდომა მას ძვირათ დაუჯდება. რა უნდა უყოს ჩინეთს რამდენიმე ათათასმა ევროპიდან გაგზავნილმა ჯარმა? გასაკვირალია დღევანდელ ჩინეთის ომში ევროპიელ სახელმწიფოთა საქციელიც. თუმცა ომი დიდი ხანია დაწყებულია და დღითი დღე მწვავედება, მაგრამ ოფიციალურათ ჯერ კიდევ გამოცხადებული არ არის. სხვა დროს საკმარისია არა თუ ბრძოლის დაწყება, არამედ სიტყვიერი უკმაყოფილებაც რომ ომი გამოცხადებულ იქმნას ოფიციალურათ, როგორც წესია. აქ კი სასტიკი ბრძოლა ხდება, ათასობით ხალხი იხოცება, მთელ ქალაქებს და სოფლებს აოხრებენ, და ომი ჯერ კიდევ ოფიციალურათ არ დაწყებულა! განა ეს დაცინვა არ არის? მეორე მხრით დღიდან ბრძოლის დაწყებისა, სახელმწიფოები მოკავშირეებათ იწოდებიან, მაგრამ არავინ არ უწყის, თუ როდის და სად, ან რა საფუძველზე მოხდა იმათი შეკავშირება. ცხადია, რომ ასეთი შეკავშირება არც მომხდარა და არც მოხდება და თუ ერთმანეთს მაინც მოკავშირეებათ უწოდებენ ეს მხოლოდ იმ აზრით, რომ დროებით დაფარონ ის უთანხმოება, რომელიც მათ შორის არსებობს და საცაა ჩქარა იჩენს თავს თვით ჩინეთშიაც. და ვინ იცის, შეიძლება, ჩინეთი გახდეს ამ უთანხმოების გამოაშკარავების მიზეზი. ასეა თუ ისე, ჩინეთი შეიქნა დღეს ის შუაგული წერტილი,

საითკნაც მიმართულია მთელი კაცობრიობის ყურადღება. შესაძლებელია, რომ ჩინეთში მოყვეს ახლო მომავალში კიდევ უფრო დიდი და საზარელი შეტაკება, რომელიც კი კაცობრიობას დღემდის გამოუცდია. აი რა შეიძლება მოყვეს დღევანდელ ომს ჩინეთში, და ამის ნიშნებიც არის. მაგრამ როდემდის უნდა გასტანოს ასეთმა მდგომარეობამ? ევროპას უკვე მოსწყინდა ომი: იქ უკვე დრტვინვა და უკმაყოფილება გაისმის ომიანობის წინააღმდეგ. ლონდონში უკვე შედგა საზოგადოება, რომელსაც მიზნათ აქვს ომიანობის წინააღმდეგ ღონისძიება იხმაროს. ინგლისს ბანს აძლევს გერმანიაც. ამნაირათ ეს ორი სახელმწიფო, რომლებმაც ყველაზე უფრო შეეცადნენ ომის ატეხას, პირველათ გააძახიან მის შეჩერებაზე. ასეთია ჟამთა უკუღმართობა: ერთი მხრით ომი საქიროებას შეადგენს სახელმწიფოს პრესტიჟის დასაცველათ, მაგრამ იგივე ომი მეორე მხრით მავნებელია ხალხისთვის, რადგანაც ომი ანადგურებს მრეწველობას, ამცირებს აღებ-მიცემობითი მოძრაობას და ხალხის რიცხვს, რითაც სუსტდება თვით სახელმწიფო ძალაც. ამიტომ როგორც დღეს მიუცილებელი შეიქნა ომი, ისე მისი შეწყვეტა მიუცილებელი უნდა გახდეს ახლო მომავალში. თანამედროვე ომი ნიშნავს საერთო კრიზისს როგორც საერთაშორისო წარმოებაში, ისე მსოფლიო ბაზარზე, რომლის ნიშნებს დღესაც ვხედავთ. მეცხრამეტე საუკუნეც ასეთი კრიზისით დაიწყო, რაც გამოწვეულ იქნა ძველი ევროპის შეკავშირებით განახლებული საფრანგეთის წინააღმდეგ. მეოცე საუკუნეც ასე იწყება, მხოლოდ როლები გამოიცვალა. ვნახოთ რას გვეტყვის მომავალი.

ფ. მახარაძე.

სხვა-და-სხვა ამბები

სათავის შუა რიცხვებში ბერლინში იდექსსწაუჯეს 50 წლის იუბილეი ზირველი სახალხო ბიბლიოთეკისა. 100 ათას კაცს გააქვს თურმე წლის განმავლობაში 700 ათასი წიგნი. ამ ჟამთ ბერლინში ქალაქის თვით მმართველობას აქვს საკუთარი 28 სახალხო ბიბლიოთეკა და ოთხი სამკითხველო და ეს ეველა შედარებით ამერიკასთან და ინგლისთან ნუმერებს ძალიან ცოტათ მიაჩნიათ.

ამ 1900 წ., ექვსი თვის განმავლობაში, გრენზანში ამოსულა 12,958,850 ფუთი ნავთი; მოკება უფიდა 300 ათასი მანეთი.

ქუთაისელი კარესზენდენტი „ივერიას“ დეპუტატები: „ხუთშაბათს, 3 აგვისტოს, დამე კარდაცვალება ეპისკოპოსი ბესარიონი“.

გაზეთი „ლიბკაზნ“ იუწყება, რომ 31 კათალიკოსი რკინის გზის ქარხნებში და დებოში მუშაობა დროებით შეწყვეტილია.

გაზ. „თფილ. ფურცელს“ ქუთაისიდან ატყობინებენ, რომ ოზურგეთის მახრის უფროსათ ნამყოფი ალმობაია სამართალში მიუციათ სხვა და სხვა დანაშაულის ჩადენისათვის თანამდებობის ასრულების დროს. ბინი ალმობაია უკვე რამდენიმე წელიწადია რაც სამსახურიდან დათხოვნილია.

ქალაქის გამგეობას დაუნიშნავს თავის ღომბარდის რევიზია. კარგი იქნება რევიზორებმა მიაქციონ ყურადღება მის უმთავრეს სენს-უფულობას: კაცი შვეა თუ არა, რაც უნდა ნივთი შეიტანოს დასავირავებლათ, ერთ ხმათ მოგდახებენ: „კასსაში ფული არ არის ხუთი მანეთის მეტი“—ხვალ ზეგ ხომ იქნება! ეუბნებიან. არც ხვალ და არც ზეგ არ იქნება ფული, — კვახეთ განასურებენ. აი, ასეთი ხელის გამართვა თუ გნებავთ მიაშურეთ ღომბარდს.

31 ივლისს, როგორც „ცნ. ფურც.“ გადმოგვცემს, „ქართველთა ამხანაგობის“ წარმომადგენელს ბნს ა. ჯაბადაძეს და ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს ვედენეევს ხელი მოუწერიათ პირობის წერილზე, რომლითაც ამხანაგობას გადაეცა ხუთის წლის ვადით სასტამბო საქმეები.

სამი მარტიდან 29 კათალიკოსის ბაქაში 114 უბედურება მომხდარა მუშებთა შორის ქარხნებში.

ქალების საბებიო ინსტიტუტში მისაღები ეგზამენები დაიწება 23, 24 და 25 მარტიდან დაიღის 9 საათზე. ამ საბებიო ინსტიტუტთან არსდება ქალებისათვის საფერწლო სკოლაც.

საქონლის ჭირის მოსახმობლათ ყოველ წელიწადს სუბსიდიებს ხმარობენ, მაგრამ ის მუდამ ძვირფარებს; წრეულსაც ბევრს ადგილებში და საშინლაც მუსრსავლებს აკრებინა ტარაქინოვის ახრით ერთათ ერთი ღონისძიება აცრა უნდა იყოს, და ეს აცრა უცდით კიდევ ზოგიერთ სოფლებში: — აცრილი საქონელი ჭირიან საქონელთან დაუბამთ და აცრილი საქონელი უგნებლათ დაჩხენილია. იმედია სამეურნეო საზოგადოება მიაქცევს ამას ყურადღებას და ახითი ბევრ ღარიბ ოჯახს აცდენს დადუშვას.

ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას განკარგულებით მონაწილეობს დენია, რათა ამ უწყებაში მისამსახურეთა ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა ყოველთვის საფუძვლიანი მიზეზით მოხდეს ხელში.

კავკასიაში წელს ჯარის-კაცთა გაწვეული იქნება: ტფილისის გუბერნიიდან—2,479 კაცი, ქუთაისის გუბ.—2,880 კაცი, ბაქის—230, დაღესტნის ოლქიდან—54, კანჯის გუბ. 1,114 კაცი, ყარსის—312, ეუბანის—1,206, სტავროპოლის—1,917, თერკისა—430, ერევნისა—1,5112 და შავის ზღვის ზირის გუბერნიიდან—87 კაცი.

3 მარტიდან დაიღებისა და ნაძალადევის გამოსახენ ადგილებზე გაკრული იყო ყველგან რკინის გზის უფროსის ვედენეევსაგან შემდეგი ბრძანება: რკინის გზის ქარხნის ხელისუფლებს და მუშებს ვუცხადებთ საერთოთ, რომ 4 რიცხვს დილის 5 1/2 საათზე დაიწება ჩვეულებრივი მუშაობა ქარხნებში და გუდოკზე გინც არ გამოცხადდება ის ჩათვლება დათხოვნილათ და თავიანთ ზანზორტების და ანგარიშის წასადებთ უნდა 6 რიცხვს მივიდენ საცა ახალი ღაზარეთის 8 საათიდან 12 საათამდე. ვისაც აქ არ მისცემენ ზანზორტს და ანგარიშს—მათი ქადაგები გადაეცემა ზოლიცას, რათა მან მიიღოს ზომები—ან თავიანთ სამშობლო ბინაზე გაისტუმროს იგინი და ან სხვა ღონის ძიება მიიღოს.

მესამე კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის წლიური შესატანი ფული 70 მანეთის მაგივრათ ახლა 80 მ-იქნება.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების რჩევის სხდომას გადაუწყვეტია მომავალი სსროფლო სამეურნეო გამოყენა გამართოს ალექსანდროვის ბაღში, რადგან მუშტაინისკენ შორს იქნება და გამართვაც იქ უფრო ძვირათ დაჯდება.

უშაღლესი ბრძანება თინანსთა მინისტრის მიმართ. გასული თვის 11, იმ ამბების გამო, რომლებიც დღეს შორეულ აღმოსავლეთში ხდება და რომლებმაც გამოიწვიეს მოულოდნელი ხარჯები საზღვარ-გარეთ, თინანსთა მინისტრს უმაღლესათ ებრძანა, მოემატოს ბაჟი ზოგიერთ საქონელს, რომელიც საზღვარ-გარეთიდან შემოაქვთ რუსეთში. უმაღლეს ბრძანებაში დაწვრილებით ჩამოთვლილია, თუ რა და რა საქონელს რამდენი მოემატა. ჩვენ აქ ჩამოთვლილი მხოლოდ უმთავრესს ვუვლავ: ექვილს, სოფლადს, კრუშას, გამხმარ მწვანეულობას, ფორთოხალს, ღომონს, ყურძენს, ქლიავს, თინიკს, ქიშიშს, ზეთისხილს, ნიგოზს, სკოკებს,

შემწვარ უავს, თევზს, თამბაქოს, ღვინოს, ზივოს, თაფლს, ველისბუდეებს და სხ. შემდეგ 30% დღევანდელი გადასახადის მიემატა: ნედლე უავს, სანთელს, ტუავს და ხის ნაწარმოებთ. ამნაირათ უმეტესათ გადიდებულია ისეთი საქონლის ბაჟი, რომელსაც უფროს ერთ შემთხვევაში შეძლებული ხალხი ხმარობს. ამიტომ გასაკვირალაა, რომ აქედან გამორიცხულია შამანური ღვინო, რომელსაც განსაკუთრებით შეძლებული ნაწილი ხმარობს, და იმავე დროს ისეთი უბრალო რამის ბაჟს კი, როგორც ზივო და თაფლია, 50% აქვს მომატებული. ეს დონისძიება, როგორც ნათქვამია თვით ბრძანებაში დროებითია, ჩინეთის ამბებით გამოწვეული. ამიტომ რადის შეწყდება მისი მოქმედება, ეს ამ ამბებზე კიდა. ადვილი გასაკვირია, რომ, როგორც ეს ზომა, ისე სხვა სამხედრო ზომები დიდ სიძვირეს ჩამოკლებს. აი ახლაც თფილისში თიქმის ყველა საქონლის ფასმა, და განსაკუთრებით სანთავისამ, აიწია, როგორც, მაგ., შაქარი, ხორცი და სხვ. მაგრამ დიდ სიძვირეს იწერებთან ციზბირიდან, სადაც უმთავრესი საომარი მზადება ხდება. იქ უკვე გაძვირებულია ისეთი საუფაღო სახმარებელი საგნები, როგორც არის: ზური, ჩაი, შაქარი, ხორცი, კრბო, რძე, ფქვილი, მწვანეულებო, თივა, ქერი და სხვ. აღვნიშნათ აქვე, რომ 2 აგვისტოს უმაღლესი ბრძანებით წითელი ჯვრის საშუალების გასაძლიერებლათ საჭიროთ იქმნა ცნობილი დაწესდეს დროებითი გადასახადი იმ ბაშეფართებზე, რომლებსაც საზღვარ-გარეთ წასასვლელათ იდებენ, სასკლდობ: უკვე არსებულ 10 მანეთს მიემატოს კიდევ 5 მანეთი ნახევარ წელიწადში. ყველა ეს ზომები შედის ძალაში დღიდან იმათი გამოქვეყნებისა.

„კეალის“ კორესპონდენციები

ს. თლუდი, (რაჭის მაზრა.) გადის აგერ ხუთ წელიწადზე მეტი, რაც რაჭას და განსაკუთრებით თლულს ხეირიანი ზურის და სიმიდის მოსავალი არ ღირსებია; უფაღან და ყველასკან სამდურავი ისმლდა. — წელს კი, თითქოს სტიქიურმა ძალამ შეებრალა ისეც დაბუნაკებული აჭურვი გლეხი და თავის მოწვადების თვალით რაჭასაც გადმოხედა. — მოსავალს ისეთთი კარგი ზირი უჩანს აქეთ, რომ უფაღლი კაცი აღტაცებაში მოჭყავს: გენახებსაც ძლიერ კარგათ ასხია, მხლდოთ ზემო რაჭისკენ ბიმიდის; სიდიშლე (ГНИЛЬ) შეჭმარია. როგორც აქამდის უჭირანხუდობით დაღატაკებული იყო თლუდი, რ იმდენათ უფრო დატაკია იგი გონების საღაროთი — სწავლა-განათლებით. არ იქნა, არაფერი უშველას მათ დაბუნაკებული მდგომარეობის გაუმჯობესებას. ისინი ისევე გულის ძილში არიან და გამდვიტებული კი არაფერ განიხიანთ. კაცი როდესაც დატეული არის ერთით, მაგიერში ამაყობს მეორით, დიადობს მესამით და ამით საერთო არსე-

ბობისათვის ბრძალაში შენებრ მეჯლიშს ეწევი; მაგრამ თუ ეგვლაფერში დაქვეითებული ხარ რით, იამყარ რით იხინო თავი?.. დიად ხემო მკითხველო, თლუდილებსაც ეს სენი სჭირთ. თუმიცა სამი გერსის მოშორებით სოფელ ნიქორწინდაში არსებობს რაკლასიანი სასწავლებელი, მაგრამ ზამთარში იქ სიარული შეუძლებელი ხდება, რადგან ისეთ ნამქერს დაჭურის ხლმე, რომ მეზობელთან გადასვლაა ჭირს. თვით თლუდში კი არსებობს სამრეგლო სკოლა, მაგრამ მისი მუდამ ჩაკეტილი კარები ცხლდათ გვიმტკიცებს რომ მას მასწავლებელი კარისხებია, მოსწავლეები შემოფანტვია და მდვდელსაც სამუდამოთ ამოულია გონებიდან მასზე ზრუნვა და საზოგადოების სამსახური. —

ნეტავ აწი მაინც ეშველებოდეს რამე ამდენს სიზარმაცეს და დაუდევრობას.

იონა ბელიაშვილი.

უვირილა. ცოდვის შორევი თუ სადმე დედაფს, სწორეთ შორახნის მაზრაში: ძარცვა-გლეჯა, ქურდობა, ქალთა ნაშუსის ახლა და კაცთ კვლა ისეა ერთმანეთში არეული, რომ სწორეთ განჩევს მოუხერხებელია. რომელი ერთი მოვუთვალო მკითხველთ?.. ამ ერთი კვირის წინათ სოფელ სალიეთში ჯერ ქალი უფაღათ გააუბატურეს, ხლდო უბედური ქმარი, რომელიც თავს წაადგა ამ უბედურ შემთხვევას, იქვე, კარებში ჩაჭკლეს. მერე ქალი უზომოთ სცემეს, არ აკმარეს გაუბატურებ; და ავაზაკნი გზას გაუდგენ., თვით შორახნში ერთი ვაჭარი ტყვიით დახვრიტეს სხვა ბორცო განმზრანხველებმა; ხლდო სოფელ ცხრა წყაროში 25-ს ივლისს დაესხნენ იქ მოფაჭრე კბრალეს, თავი მოჭკვეთეს, ფული და უფაღ-გვარი ბარათები ამოცაღეს და მიიშლენ. ავაზაკნი ჯერ არ აღმოუჩინათ და საეჭვოც არის მათი აღმოჩენა, თუ ამაზე მეტი უურადდება არ იქმნა მიტეული.

გ. ბოკერია.

ს. დვედი (სენაკის მაზრა). ეს სოფელი გაშენებულია მდ. ცხენიწელის მარჯვენა ნაპირზე და ძლიერ ვიწრო მდებარეობს აქვს. ის თითქმის უფაღლი მხრიდან შემოზღუდულია მაღალი კლდოვანი გორაკებით; ნიადაგი ქვიანია. მოსავალი კარგი იცის. ს. დვედი მოშორებულია დ. სონზე 20 ვერსით, ხლდო დ. ხაღდალეზე კი 17 — 18 ვერსით.

დ. ხონიდან „ბუმბუსს ხილამდე“*) გზა შედარებით კარგია, ხლდო „ბუმბუსს ხილიდან“ გზა მიჭვევს მდ. ცხენიწელის მარჯვენა ნაპირს, გაივლის ს. ხლდას, ს. დვედს, ს. ბორაწინას (უფრო ნასოფლარს, რადგან დი-

*) იმ ადგილას, სადაც ახლა „ბუმბუსს ხილია“, ზემოთ გადმოცემა მოგვიტბრობს, რომ ძლივეა მოსილ პომპის უნდა გაველო ხილი თავისი ჯარით სამეგრელოში წასასვლელათ.

დი თვეობის დროს ეს სოფელი ზვავმა დასილა და ეხლა ხუთიოდე სახლის მეტი არც კი სახლობს) და მიაღებო ლეჩხუმის საზღვარს, სადაც შეუერთდება დ. ცაგერში წასასვლელ გზას. „ბუმბუკის ხიდიდან“ მთელ ამ მანძილზე გზა უფლად უფარვისია. ამ გზით ლეჩხუმის მახრდიან უფლად წლობით გამოაქვთ: 30—40 ათას ფუთამდე ვაშლი და სხვა ხილი, 2—4 ათასამდე სახალხე ფიჭვის და ნაძვის ყავარი. აგრეთვე სვანეთიდან და ლეჩხუმიდანაც უფლად წლობით 30—40 ათასამდე ფიჭვისა და ნაძვის ხე გამოაქვთ მდ. ცხენის-წყლით და უმეტესი ნაწილი მიაქვთ ს. საჭილაში, სადაც ბ. ოქრომჭედლოვს აქვს გამართული სახერხი ქარხანა. აქედან კი დამზადებული ხე-ტყის მასალა რკინის-გზით იგზავნება სხვა დასვადსა ქალაქებში და საზღვარ-გარეთაც. სასიამოვნო სახასიათა, როცა სამას-ათხასი მუშა მდ. ცხენი-წყლის აქეთ-იქითა ნაზირებს მიჰქობა ხეების ასაშვებთ და თავისი ზარმომიული სიმღერ-გუგუნით ატეობს არე-მარეს. ღვინო, ვაშლი, ყავარი და სხვა ლეჩხუმის ნაწარმოები გამოაქვთ ხსენებული გზით ჩაღვადრის ცხენებით და მიაქვთ უმეტესათ დ. ხონში, ქ. ქუთაისში და სხვაგანაც. მაგრამ ვაი ამისთანა გამოტანს! უგზობობის გამო დიდი ვაი-ვგლახშია ჩავარდნილი აჭაური მგზავარი. სვანეთში და ლეჩხუმში ბევრი შვენიერი მუავე-მადნის წყლები და აბანოებია. აგრეთვე ბევრ ადგილას არის ამოჩენილი სხვადასხვა ნაირი მადნები, მაგრამ რითი და როგორ ისარგებლეს კაცმა უგზობობის გამო?!

საჭირო და აუცილებელიც არის, რომ უფლად მხრივ სხვა მახრებზე ჩამოჩენილი ლეჩხუმ-სვანეთი ამ გზის საშუალებით შეუერთდეს სხვა უფრო დაწინაურებულ თავის მეზობელ მახრებს და მით მათთან ერთათ გააუმჯობესოს თავისი ეკონომიური მდგომარეობა და სწავლა-განათლების საქმე.

იმედია უურადლებას მიაქცევს ვისიც ჯერ არს ამ ფრად მნიშვნელოვან და სასარგებლო გზას და საურმე გზას მაინც შეაკეთებენ.

უკაცრავათ შეითხველო! მე ს. ღვედის ამბებს მოგახსენებდი და ლეჩხუმ-სვანეთზე კი გადავიდი. მაგრამ ამ გზის შეკეთებით დედელიც ისარგებლებს... დასასრულ ბრძოლად სიტუვას მოგახსენებთ სწავლა-განათლების შესახებ ს. ღვედში.

ეს სოფელი ორი წლის წინეთ ძლიერ ჩამოჩენილი იყო ამ მხრივ სხვა მის მეზობელ სოფლებზე, რადგან სიმორისა და უგზობობის გამო ვერ სარგებლობდა სამინისტრო სკოლით, რომელიც ამავე საზოგადოების ერთ-ერთ ს. გორდში არსებობს (წელს ეს სამინისტრო სკოლა ორ-კლასიანათ გადაკეთდა). 1898 წ. აქ (ს. ღვედში) გაიხსნა ერთ კლასიანი სამრეწლო სკოლა, სადაც 40—50 მოსწავლემდე სწავლობს. (ს. ღვედში 60 კომლი მცხოვრებლებია). უნდა შევნიშნოთ, რომ აქამომდე სკოლას თავისი საკუთარი შენობა არა აქვს, რაც ძლიერ

აბრკოლებს სწავლის საქმეს. წარსულ წელში ბლადიჩის მ. ა. რევას მეცადინეობით სოფელმა განახენი დაადგინა, რომ სკოლისათვის საკუთარი შენობა აეგოთ და მიწაც მიეცათ, მაგრამ ჯერ-ჯერობით სკოლას საკუთარი არც შენობა აქვს და არც მიწა. ვნახოთ რა იქნება შემდეგ! ამ სოფელში 8 ივლისს მოხდა ერთი შემთხარავი ამბავი: ნაშუადღევის მეორე საათზე კაკის ზირულათ დაასხა წვიმამ, მოვიდა დიდი ნიაგ-ღვარი, ერთი ათი წლის ბავში იმსხვერზლა. ეს ბავში იყო ღვედის მცხოვრების კლემი ბეკო სულაბერიძის უმთროსი ვაჟი და ის შეადგენდა მის მარჯვენა ხელს და ნუკემს. სულაბერიძე კოჭლი, ავთიმოფი და ძლიერ ღარიბი კაცია, რომელიც უფრო ერთი ასად დაქვეითა სწავლი ბავშვის დაკარგვამ. აქეთ ხშირი წვიმებია და ჭირნახულიც ჯერ-ჯერობით კარგია.

გზმუ.

ჩინეთის ამბები

ღვედში გვატუბინებენ, რომ ინგლისის ხომალდები ჯარით ჩინეთის მთავრობამ იან-ცძესთან შეახერხა, მიუხედავად წინათ განცხადებული თანხმობისა. ამის შესახებ მოდამარაკება ატულა. ამავე დროს ზეტერბურგში საზღვაო შტაბში ამბავი მოვიდა, რომ ჩინელთა ნადმიანი გემი დაუპყრია რუსეთის ნადმიან გემს ზორტ-არტურის და ტაკუს შუა. რუსეთისა და ინგლისის ელჩები ცხადებენ, რომ მხსნელი რაზმი უბრძოლველათ შავიდა თითქმის ამზინამდე, რომელიც ზეკინიდან 50 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს. ჩინელები კანტონს ამავრებენ, ისინი ამბობენ თუ კანტონს ამერიკელთა სამხედრო გემი „მონტერვი“ მოუანლოფდა ბაკის სიმაგრეებიდან სრლას დავიწყებთ. კანტონის მცხოვრებნი დიდათ შემინებულნი არიან ჩინელთა ჯარის სახლოფით, შიმობენ რომ უბრძლო მიხეზის გამო სისხლის ღვრა არ მოხდესთ.

ნეკროლოგი

† ვლადიმერ სოლოვიოვი.

ღვედის 31 მოსკოვის ხლო სოფელში გარდაიცვალა ცნობილი რუსეთის მწერალი ვლადიმერ სერგეის ძე სოლოვიოვი, შვილი ცნობილი ისტორიკოს სოლოვიოვისა. ვლად. სერგ. სოლოვიოვი დაიბადა 1853 წელს, სწავლა შეასრულა მოსკოვის უნივერსიტეტში ისტორიკო-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე; 1874 წელს დაწერა დისერტაცია მაგისტრობის ხარისხის მისაღებათ, რის შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს,

როგორც ზრეკა-დრეკანი. 1880 წელს დაწერა დის-სერტაცია დოქტორის ხარისხის მისაღებად ამ სათაურით: „Критика отвлеченныхъ началъ“, და გადავიდა ზეტერბურგის უნივერსიტეტში. უნივერსიტეტს კარდა ფილოსოფიაზე ლექციებს კითხულობდა სოფოკლია ზეტერბურგის უმაღლესსაქალაქო კურსებზედაც. მაგრამ 1881 წელს მან სრულიად დაანება თავი ზედგოგორ მოღვაწეობას და ხელი მოჰკიდა განსაკუთრებით ლიტერატურულ შრომას; თავის ნაწერებს ბეჭდავდა უმეტეს ნაწილათ „Вѣст. Евр.“ და „Вѣстн. фил. и псих.“-ში. განსვენებული ერთ და იმავე დროს იყო ფილოსოფოსიც, ზუმლიცისტიც და ზოეტიც. მის ნაწერებს: „Чтенія о богочеловѣчествѣ“, „Исторіи и будущности теократіи“, „Національный вопросъ въ Россіи“, „Право и Нравственность“, სკრთთთ ფილოსოფიურ-ღვთისმეტყველურ — ზუმლიცისტური ხასიათი აქვთ. მას სურდა შეექმნა თავის საკუთარი ფილოსოფიური სისტემა, დაშვარებული რაციონალურ სარწმუნოებაზე და კთიკაზე. განსვენებული მომხრე იყო ეკკლესიების გაერთიანებისა. სემწუხაროთ, სოფოკლია ბოლო ხანებში, სულ უფრო და უფრო გაიტაცა მის ტიციზმს თავის ზუმლიცისტურ წერილებში სოფოკლია ხშირათ ეხებოდა თანამედროვე მწვავე კითხვებს, მაგრამ მის ნაწერებში არც ერთ ამთავანს სინათლეზე გამოტანს არ დაიხსებია. მისი უკანასკნელი საჯარო ლექცია ზეტერბურგში ანტიქრისტიკაზე უფრო ავთოფიის ფიქრებია; ვინემ ფხიზელი გონების ნაყოფი. როგორც ზოეტს სოფოკლია ვადეგ ნაკლები მნიშვნელობა აქვს.


† ვილჰელმ ლიბკნეხტი.

გერმანიაში 24 აგლისს დამათ კარდაიცვალა გერმანიის ზარდამენტის (რეისტაგის) ცნობილი დეპუტატი და ორატორი ვილჰელმ ლიბკნეხტი. ლიბკნეხტი დაიბადა 1826 წელს (29 მარტს) ქალ. გაისენში (ფრანკფურტის მახლობლათ). განათლება მიიღო უნივერსიტეტში, სადაც სწავლობდა განსაკუთრებით ფილოსოფიას და ფილოლოგიას. 1848 წელს მან მიიღო მონაწილეობა ბადენის აჯანყებაში, რისთვისაც ციხეში ჯდამა მიუსაჯეს (1848 წ. სექტემბრიდან 1849 წ. მისამდე). შემდეგ ხელახლა მიიღო მონაწილეობა იმ ბრძოლაში, რომელიც ატეხილ იქმნა გერმანიის ზარდამენტის და კონსტიტუციის მოპოებისათვის, მაგრამ როცა ზრუსიის ჯარებმა დაამარცხეს აჯანყებულები, ის გადაესახლა ზირველათ შვეიცარიაში და შემდეგ ინგლისში, სადაც დაყო 1862 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში გამოიჩინა ახალგაზდა ლიბკნეხტის აზრი და შესედულება. სანამ ღონდონში დაესახლებოდა, ის ლიბერალური აზრების მომხრე იყო... როცა 1870 წელს საფრანგეთსა და ზრუსიას შორის ომი იქმნა გამოცხადებული, ლიბკნეხტი და ბეკელმა ზრეტესტის განცხადებას დაეხმარებოდნენ, რისთვისაც რისთვისაც ლიბკნეხტი ერთ წლით ციხეში ჯდამა მიუსაჯეს. 1874 წელს ის ანტიუელ იქმნა გერმანიის რეისტაგის დეპუტატით, ის რომელ თანამდებობაშიაც სიკვდილამდის დარჩა. 1890 წლიდან ის ცხოვრობდა ბერლინში, სადაც ანტიუელ იქმნა სოციალ-დემოკრატიული კავშირის „Vorwärts“-ის რედაქტორათ. როგორც ყოველ მხრივ განვითარებული და ნიჭიერ ორატორს მას დიდი გავლენა ჰქონდა თავის ზარტიაზე. ლიბკნეხტი უფრო შესანიშნავი იყო როგორც სოციალ-დემოკრატიული ზარტიის ბელადი და ზარდამენტის ორატორი, ვინემ მწერალი, თუმცა ყოველთვის მისგან დაწერილი მეტათ საინტერესოს.

ფაქტები გურიის ცხოვრებინდან.

ომ თავიდან დღემდე აკეთი უკუღმართ გზაზე „მიშლიგინობს“ და საწაღმართო პირი არ ეტყობა. თუ სადმე საოცარი და საფარსაგო — საგმირო საქმენი დაილია, აკეთი მდიდარია ამ მხრივ. მთელი ქვეყნის ყურადღება ამ ჟამათ „დიდმა მუშტმა“ მიიპყრო, მაგრამ არა ნაკლები მუშტის რაინდები ბძანდებიან აკეთშიაც? თუ ჩინეთში სახელმწიფონი ყოველ ღონეს ხმარობენ „დიდი მუშტის“ ჩასაქრობათ, სამაგიეროთ აკეთში ამ გვარ მუშტის რაინდებს არაფერი ეშველა, თუ არ უნდათ ეშველოს. იმათი საგმირო საქმეთა ჩამოთვლა ძალიან ძნელია. აქ მოვიყვან ერთ ფაქტს, რომელიც ამ დღეებში მოხდა. 7 ივნისს ვილაკ თავზე ხელ-აღებული დ. ნ. ერთ მშრომელ ქალს შეხვდა იმ დროს, როცა ეს უკანასკნელი ბეოლით დატვირთული შინ მიდიოდა. რაინდმა ქალს გაუპატიურება მოუწოდოდა, მარა ქალი არ დანებდა; რაინდმა იშიშვლა ხანჯალი და გაეკიდა ქალს დასაჩეხათ, მარა რაკი ვერ დაეწია, შემდეგ რევოლვერიც დაუშინა. ქალის შემზარავ კვილზე და რევოლვერის ხმაზე მშველელნიც გაჩდენ; ერთი მშველელთაგანი ლევორველის ტყვიით იქმნა წაქცეული და ავაზაკი კი გაიქცა ცხენით. დაქრილას მდგომარეობა საშიშოა და დამქრელი კი თავისუფლათ ნავარდობს დღესაც. ამ ფაბოტონს სხვები უარესებიც ჩაუდენია, მარა ვინ არის გამკითხავი?!

ლანჩუთიც ბედნიერია საფარსაგო კაცების ტიპებით. მოსე მწერალ და სულთა-მხუთავი მევახშე მალხაზი (როგორც ხალხი უწოდებს) იმდენი არაფერია, როგორიც ბრძანდება ვ. კ.—ი, რომელიც ძლიერ გამობრძნილი ყოფილა „საზოდლოვო“ ხრიკებში, დიდი ზარალიც მოუხდენია სოფლებში და თანდათან, უფრო-და-



ფასადი პარიზის თეატრისა (Comedie Francaise) 24 თებერვლამდის, სანამ ცეცხლი მოეკიდებოდა.

უფრო მეტ ზარალს იძლევა; სხვათა შორის ამ ვაჟბატონმა ამ თვის 18 ს ერთ ნიგოთელსაც წარმოუდგინა 160 მანეთის ვექსილი: „დაიხსენი თორემ აგიწერ ოჯახსო“. ნიგოთელს გაუკვირდა— არც ვიცნობ ამ კაცსო, და ან რათ ვისესხებდი მისგან, როცა ცოტა რამ გასესხებულე კი მაქვსო. ასე იყო თუ ისე საწყალ ნიგოთელს მაინც შეეშინდა და გამოიყიდა ვექსილი. თუმცა ბევრმა გაამტყუნა ნიგოთელი:—რა გიშავდა გეჩივლა და დაგესაჯაო, მარა ნიგოთელი პასუხათ ამბობდა: სად შემიძლია მე იმის დევნა და ხათაბალა; სულ რომ ცოტა ვთქვათ ორასი მანეთი კი დამეხარჯოდა და ამას ის მირჩევნია, რომ ცოტა დამეკარგოსო. ასე ფიქრობს და ასევე იქცევა ამ გვარ მავნე კაცების შესახებ თითქმის ყველა შეუძლებელი კაცი სოფლისა და ამიტომაც არის, რომ ეს ვაჟბატონები გათამამდნ და ავიწროებენ საწყალ გლეხებს. სხვა ბედნიერებასთან ერთათ სამკითხველოც დიდ საქმეშია აქ: მის მეთაურ-მასწავლებელთ დიდი შრომა მიუძღვისთ „ბანქობიას“ განვითარება-გაძლიერებაში. აქაურ ინტელიგენციის უმრავლესობას მთავარ საგნათ ესრეთ წოდებული „კარტოჟნიკობა“ გაუხდია. ზოგჯერ სამკითხველოსაც აბედნიერებენ კარტის თამაშითო—ამბობენ და დიდი ღვთის წყალობაც არის, თუ თქვენც იტყვიო!!

ს. ნიგოთში ამ ჟამათ დიდი განხეთქილებაა ზოგიერთ თავადთა და გლეხთა შორის. თითქმის მთელი სოფლის ნახევარი მცხოვრები 17 ამ თვეს გაემართა მომრიგებელ მოსამართლესთან, სადაც უნდა გარჩეულიყო გლეხების და ერთი აქაური კნეინას საქმე. კნეინას ვიღამაც სამეველო სახლი დაუწვა და ამაში ბრალი დასდო გლეხების ერთგვარს. ვინც გურული გლეხის ცხოვრებას იცნობს, ის ადვილათ წარმოიდგენს თუ რა ძვირათ უღირს მუშას ახლანდელი დღეები; და აი ამ სამეველო სახლის საქმეზე რამდენი ძვირფასი დღე და სხვა-და-სხვა ხარჯი დაეკარგა თითქმის ნახევარ სოფელს, ეს და სხვა ასეთი უბედურება ერთი არა მკითხვე სტუმრის წყალობაა, რომელმაც რეფორმატორობა დაიჩემა ნიგოთში. ამ რეფორმატორის წყალობით ბატებსაც კი იჭერენ მეველეები და ფულებს ახდევინებენ საწყალ სოფლელებს. ღორების ხოცვა და სხვა-და-სხვა უმსგავსობა ხშირია, რადგანაც ისეთები ჰყავთ მეველეებთ, რომლებსაც საზოგადოება კაცის მკვლელ ავაზაკებათ რიცხავს... ამ ვაჟბატონის წყალობით გლეხებს ციხეში ჩაყრაც კი დაუპირეს და სხვა ათასი მწუხარება და უბედურება მიაყენეს. უიმისოთაც გაღატაკებული გლეხობა სასოწარკვეთილებამაა ჩავარდნილი.

ეს საქმე ჯერ არ გათავებული და პირიქით დიდ ხანსაც ვაგძელდება მგონი; ახლათ ვადმოსახლებული.

* * *



იღის, მიგოგავს შიშველ ფეხებით, ხან იღანდებდა, ხან მუშტებს კუმამს, გულს ახალუხი გაუღებნია, კეფაზე ქუდი წამოუხურავს.

ამას სახელზე ჩამოჰკრა ხელი, იქ ეტღოს წინაღამ გადაურბინა, გვერდზე ამხანაგს ჩაუკრა თვალი და ქუჩის გოგოს ზირში შესცინა

მიღის, მიგოგავს, თანაც ნელნელა უახლოვდება მუხილის დუქანს, აცოცა ხელი და ოსტატურათ, ვითომც ვხუმრობო, ჩაუკრა ბუქნას!

მიღის და თანაც ზირს აცმაცუნებს, დაჩაჯს კი წენარათ გვერდს აუარა, გაშორდა იმას და უსინათლო გლახას კენჭები ჩაუჩხრიალა.

გუმინ მიტყეპს ზოლიციაში, მაგრამ ეს მისთვის არაფერია, ახლა კვლავ შიანს, ცდილობს მაგრამ ჭკერ კუჭი ვერსად ვერ მოუჭერია.

ას, ბიჭუკვლავ, ურცხვსა თვალებში უკვე გამოსჩანს გახრწნილი სული და იღუმალათ მაგარი ხუნდი, შენს ხელებზეა გამოსახული!

ი. ველოშვილი.



ახალი გზა

(„ქამუშადის გაჭირვება“ დ. კლდიაშვილისა.
„მოამბე“ 1900 წ. №№ I, II, III, და IV).

III

(დასასრული)*

წოდებრივი დაყოფის მომხრეთაგან არა ერთხელ გვსმენია: ხელოვნურმა შერჩევამ და მემკვიდრეობამ თავად-აზნაურობა ქართველი ერის საუკეთესო ელემენტთა აქცია, მას წარსულში დიდი ღვაწლი მიუძღვის მამულის წინაშე, მისი მოსპობა, როგორც კერძო წოდების ე. ი. მთელს ერში არევა, ქართველობისათვის საზარალო იქნება. თავად-აზნაურობა რომ ქართველი ერის საუკეთესო ელემენტი იყოს, ეს არავის არ დაუმტკიცებია და ვერც დაამტკიცებს, რადგანაც ცხოვრება ვეუბნება, რომ დღევანდელი თავადი, გინდა აზნაური გლახს ვერც ზნეობით და ვერც გონებრივით ვერა ჯობია; პირიქით ჩვენ იმისი გვემინია, ვაი თუ ნაკლებიც იყოს. ხოლო თავად-აზნაურობას რომ ღვაწლი მიუძღვის მამულის წინაშე, ამას ჩვენ არ ვუარყოფთ, მაგრამ იგივე ღვაწლი გლახობასაც მიუძღვის. ზემოთ მოყვანილი საბუთები აშკარათ გვიჩვენებენ, თუ როგორი ყალბი შეხედულობის არის ზოგიერთი ქართველი ადამიანი ცხოვრების მსვლელობის შესახებ. ჩვენ იმას კი არ ვიკვლევთ, რა არის სასურველი, არამედ იმას, რა არის აუცილებელი. განა ცოტა რამ არის სასურველი, მაგრამ შეუძლებელი?! ჯერ სასურველიც რომ იყოს წოდებათა შერჩენა, მაშინაც ამ სურვილს გასავალი არ ექნება, რადგანაც დღევანდელმა ცხოვრებამ აუცილებლათ გახადა მათი გადასხვაფერება.

ცხოვრების აუცილებელ პროცესს ვერავითარი სურვილი ვერ შეაჩერებს. წოდებრივმა დაყოფამ შეასრულა თავისი დანიშნულება; დღევანდელი დრო მასში აღარ საჭიროებს და ამიტომ კიდევაც სპობს და მის მაგიერ შობავს სოციალურ კლასებათ დაყოფას. გარდა ამისა წოდებების შერჩენა ჩვენი ერისათვის დღეს მხოლოდ საზარალოა, რაც მალე წაიშლება წოდებრივი სამზღვრები, ქართველი ერის კეთილდღეობისათვის მით უმჯობესია და აი რატომ: თუ ცხოვრება შეიცვალა, შეცვლილ ცხოვრებას შეგუება უნდა, როგორც კერძო ადამიანის ისე მთელი ერის მხრივ; ვინც ვერ შეეგუება ცხოვრების შეცვლილ პირობებს, მისი დაღუპვა აუცილებელია. ამ კანონს ჩვენ ვხედავთ

როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე მთელი ორგანიზულ ცხოვრებაშიც. ქართველი ერის დღევანდელ ცხოვრებასთან შეგუება კი იმაში მდგომარეობს, რომ წოდებრივი საზღვრები უკუაგდოს და ახალს მოქალაქეობრივ გზაზე გამოვიდეს ყოველი ქართველი, მიუხედავად იმისა, თავადი იქნება ის, აზნაური თუ გლახი. ასეთ გზაზე ჩვენი ერი უკვე გამოვიდა, მაგრამ თუ მაინც ბევრი ვერ ამჩნევს წოდებრივი საზღვრების დარღვევას, ერთი იმიტომ, რომ არ სურს შეამჩნიოს,—მეორე იმიტომ, რომ, თავად-აზნაურობა ჩვენში ჯერ კიდევ წარმოადგენს ეკონომიურ ძალას თავისი ადგილმამულით და გულ-უბრყვილო პირებს კი ეს ეკონომიური ძალა გვარიშვილობის ნაყოფი ჰგონიათ. ისინი, ვისაც ეს ეკონომიური ძალა ხელიდან გამოცლია, შეწევრათ გრძნობენ, რომ ცალიერი გვარიშვილობა დღეს ჩირათაც აღარ ფასობს, მაგრამ გულს არ იტეხენ და საქვეყნოთ ჯერ მაინც არ აცხადებენ ამას. ჩვენში უკვე ჩნდებიან ისეთი აზნაურები, რომლებიც გლახებისაგან აღარაფრათ აღარ განირჩევიან: ლევან ქამუშადე, ომან ქამუშადე, სეთე მარუშიძე და სხვ. დღეს თუ ხვალ ასეთი პირნი თავადებშიაც გაჩნდებიან. სამაგიეროთ გლახებშიაც გაჩენილან ისეთი პირნი, რომლებსაც ქონებრივი ძალა მოუხვეჭიათ და აზნაური და თავადისაგან აღარ განირჩევიან. ასეთია ბ-ნი კლდიაშვილის მოთხრობაში გლახი სამადაძე. ის ეკვირიანეც კი, რომელიც ასე ამპარტავნობს თავისი გახუნებული აზნაურობით, აი რას ამბობს სამადაძის შესახებ;

— ყაზახი ქვია, თქვენ გენაცვალეთ, თვარა რომელი აზნაური გაუტოლდება, ჩემო ბატონო! მდიდარი, თქვენი ჭირი შემეყაროს. ზრდილობიანი, ისეთი შეხედულება აქვს—თავადიშვილი გვეგონებათ, უბრალო კი არა, ჩემო ბატონო!

მიეცით ასეთ გლახს განათლება და რასაკვირველია, მაშინ ის იქ თავადზედაც და აზნაურზედაც ცხოვრებაში წინ იქნება. ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, ვითომ ცხოვრება მთელი თავად-აზნაურობის გაღატაკებას ითხოვდეს და ლევან ქამუშადების გადაქცევას და მთელი გლახობის გამდიდრებას და სამადაძებათ გახდომას. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ცხოვრება უარყოფს წოდებრივ დაყოფას, ის ითხოვს ძველი გზის დატოვებას და ახალ გზაზე შედგომას. ვინც შეიგნებს ახალი დროის მოთხოვნილებას და ახალ გზაზე ფეხს მოიმადრებს, გლახი იქნება თუ თავადი, სულ ერთი—გაიმარჯვებს. ვინც ახალ ცხოვრებაში ძველი გზით მოინდომებს თავის გატანას, გინდა თავადი

*) იხ. „კვალი“ № 30.

ქართული
ლიტერატურა

ვადი იყოს, გინდა გლეხი, დალუპვას ვერ აცდებო. ჩვენი აწმყო ბელოეტრისტიკა თუ უფრო ხალხსიანათ ხატავს დამარცხებულ თავად-აზნაურობას და გამარჯვებულ გლეხობას, ვიდრე გამარჯვებულ თავად-აზნაურობას და დამარცხებულ გლეხობას, თუმცა ცხოვრებაში პირველიც არის და მეორეც. ეს იმიტომ რომ დამარცხებული თავადი და გამარჯვებული გლეხი სრულებით ახალი მოვლენაა, ძველმა ცხოვრებამ არაფერი ამგვარი არ იცოდა და ამიტომაც, როგორც ახალი მოვლენა, უფრო იქცევის მწერლის ყურადღებას.

სამადაძის ტიპის დახატვაში ჩვენი ბელოეტრისტიკები, თითქოს პირობა მიუციათო, ყველა ერთნაირათ იმეორებდნენ შემდეგ გარემოებას: დამარცხებული თავად-აზნაურობა გამარჯვებულ გლეხობას ერთობ მტრულათ უყურებს. როდესაც პირველი მეორეს შეხვდება, აშკარათ ხედავს, რომ ჩამომავლობამ დღეს ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგა, რომ ცხოვრება გლეხსა და აზნაურს არა თუ ათანასწორებს, ხშირათ გლეხს თავადსა და აზნაურზე მაღლაც აყენებს; ის კარგათ გრძნობს, რომ მომავალი ასეთი გამარჯვებული გლეხის არის, რომ გუშინდელი მისი ყმა ხვალ იმაზე წინ უნდა იდგეს ცხოვრებაში; დამარცხებული თავადი და აზნაური ამ გარემოებას ვერ შერიგებია და შეხვდება თუ არა გამარჯვებულ გლეხს, თავის სიძულვილს ვედარ მაღავეს. ასეთ მაგალითს ჩვენ ვხედავთ „ფირალ დავლაძეში“, ასეთსავე მაგალითს გვიჩვენებს „ქამუშაძის გაქირვება“. ცხოვრებისაგან დაჩაგრული და გარიყული აზნაურნი, ქამუშაძეები, გრძნობენ, რომ სამადაძე მათ ჯობია, მაგრამ წოდებრივ თავმოყვარეობას იმ გრძნობით იკმაყოფილებენ, რომ ისინი აზნაურნი არიან, სამადაძე კი გლეხი და, „რაც რომ იყვეს, უზრდელ ყაზახს მაინც ჯობიან“. ისინი ცდილობენ, სამადაძის გული დაუკლან მით, რომ ის ყაზახია, შეაგნებონ მას, რომ ყაზახი აზნაურს ვერასოდეს ვერ წაეტოლება, მაგრამ მათი მეცადინეობა სრულიად ამოა, რადგანაც სამადაძემ შეენივრათ იცის, რომ დღევანდელმა ცხოვრებამ ის „შემოდგომის“ აზნაურებზე მაღლა დააყენა. აზნაურობის ძველი თაობა ამ გარემოებას ან ვერ ამჩნევს, ან, თუ ამჩნევს, არ უნდა, რომ დაიჯეროს; ის მაინც არწმუნებს თავის თავს, რომ ცხოვრება აზნაურსა და გლეხს არ გაასწორებს. ახალი თაობა კი ნათლათ ხედავს და დარწმუნებულიც არის, რომ ძველ გზაზე დარჩენა მხოლოდ დამლუპველია, რომ საჭიროა ახალი გზა, და კიდევ გამოდიან ამ ახალ გზაზე. მაგრამ ვინ არის იმისი თავდები, რომ ეს ახალი გზა ოტიასა და მის მზგავსებს დალუპვისაგან იხს-

ნის? ამის თავდებია თვით ცხოვრება, რომლის ერთ მხარეზე დაუყენებია ლევანი და ომან ქამუშაძეები, სეფე მარუშიძე და სხვები, მეორე მხარეზე სამადაძე, პორფირი ბიაშვილი, ბეგლარ ქინქარაძე და სხვ. მოთხრობაში ერთი საყურადღებო ადგილია. როდესაც ოტია და სონია ლევანიდან სახლში დაბრუნდნენ, იმ ლევანიდან, რომელიც „შიშნაძე მოჰკლა“, როგორც ეუბნებოდა თავის თავს გზაში მიმავალი სონია, ჯა ორივე ცოლქმარი უნუგემო ფიქრებით იყვენ მოცული ასეთის სურათის ნახვით, ამ დროს მათ სახლში დაუხვდებათ პორფირი ბიაშვილი. სიამოვნებით მოხიბვით ეპორფირის დანახვაზე სონიას ალბათ თვალწინ წარმოუდგება თავისი ძმა და უცებ თავში გაურბენს; — ამათია ყორიფელიო. ამავე დროს გულდაღონებული ოტიაც თავის თავს ეუბნება:

— ამთ უნდა გავსდიოო!.. ჩემისთანებმა მაინც, — თუ ქვეყანაზე სიცოცხლე გვინდა!

ამ გვართ პორფირის დანახვაზე „რომლის პირითაც, თითქო თავ-მომწონე, უფრო ღონიერი ქალაქი დასცინოდა მისუსტებულ სოფელს, დასცინოდა, თავის გამარჯვებას აძადნიდა (?) და ემუქრებოდა მეტს დაჩავკრას მასთან ბრძოლაში“. ორივე ცოლქმარს ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე აზრი გაურბენთ თავში. გავიგოთ, რას წარმოადგენენ პორფირი და ბეგლარი. ეს ორივე ადამიანი მხოლოდ მითი განიჩევიან ერთი-მეორისაგან, რომ ერთი მუდამ მხიარულია, მუდამ ხითხითებს, ყოველისფერს სიცოლით აკეთებს; ყველასთან თავმდაბალია, მეორე კი მუდამ სერიოზული სახის არის, ამპარტავანია, ბევრი ლაპარაკი, ხალხში ტრიალი არ უყვარს; და დედაც კი მორიდებით არის მასთან. დანარჩენში კი ორივე ერთი მეორის ხატებაა. ორივეს ერთი მიზანი აქვს ცხოვრებაში, ორივე ერთნაირათ უყურებს ადამიანის მოქმედებას, ორივე ერთი და იგივე ზნეობისა და პატიოსნების არის. ბეგლარი თავით ფეხებამდე ეგოისტია, ხოლო პორფირული ინტერესების მიმდევარი; ყოველისფერი, სიდანაც ის თავისთვის სარგებლობას არ გამოეღის, მის თვალში უმნიშვნელოა და სისულელე. მას არა თუ ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება, რომ ადამიანმა სხვისი სარგებლობის გულისათვის იმოქმედოს ან დაიკლოს რამე; ასეთი მიმართულების პირებს კიდევ დაცინის.

თავის ყოველ გვარ მოქმედებაში ის მხოლოდ პირადი სარგებლობით ხელ მძღვანელობს, მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ის არ დაერიდება არაფერს, — სისაძაგლეს, უსინდისობას ჩაიდენს თავისი სარგებლობის გულისათვის. რა მაქნისია მისთვის სინდისი,

პატიოსნება, როდესაც ისინი მის ჯიბეს არას მატებენ? აიღეთ მისი სიყვარული წინოხადნი. ეს წინდაწინვე განზრახული ჰქონდა ყოველი თავისი მოქმედება ამ სიყვარულის დროს; ის ცდილობდა, სარდიონი ისე ჩაეთრია ხელში, რომ ვეღარსად წასვლოდა, და ჩაითრია კიდევ. მაშინ განზე გადა და სარდიონს შემოუთვალა: ბარგთან თუ რვაასმანეთსაც მომცემ, მაშინ დავიწერ ჯვარსო, და კიდევ შევასრულა თავისი სიტყვა, —საყვარული ქალი რვაას მანეთში გაცვალა ასეთივე პორფირიც, ხოლო ეს უკანასკნელი უფრო კულ-ქიციანა და ლაქუცაა, ყველას ტკბილ სიტყვას აგონებს, ყველას თეთრ კბილს უჩვენებს, გულში კი საკუთარი სარგებლობის მცტი არა რწამს რა; მისი მიზანია, სხვები გაუცქენას, გაატყაოს, თავის თავს კი ასარგებლოს. პატიოსნება, სხვისი თანაგრძნობა, სხვისი სარგებლობით ხელ მძღვანლობა მისთვის სრულიად უცნობი ხელია. აი როგორ თაიგულს წარმოადგენენ ეს ორი „იაქსი“, და ნუთუ მართლა „ამათია ყორიფელი“, როგორც სონიას ჰკონია?! ნუთუ მართლა ამათ უნდა გასდიონ ოტიას-თანებმა, „თუ ქვეყანაზე სიცოცხლე უნდათ“, როგორც ფიქრობს ოტია?! აქ შეცდომა აშკარაა. ახალი დრო ითხოვს მხოლოდ ახალ ზგაზე გამოსვლას და არა სინდისისა და პატიოსნების დაკარგვას. რა საძაგელიც უნდა იყოს ესათუის ეპოქა, ყოველთვის შეიძლება ადამიანმა ადამიანის ღირსება დაიცვას და ღორს არ დაემზგავსოს. საზიზღარი იყო მონობა, საზიზღარი იყო ბატონყმობა, მაგრამ განა ცოტა იყო ორივე ეპოქაში ისეთი ბატონები, რომლებიც ადამიანის სახელს არ არცხვენდენ? შეცდომა იქნება, რომ ყოველისფერი ცხოვრებას გადავაბრალოთ და ადამიანის ბუნება სრულებით არ მივიღოთ მხედველობაში. სინდისისა და პატიოსნების სრულებით ამოშლა არც ერთ ეპოქას არ მოუთხოვია, არც მოითხოვს, და, კიდევ რომ მოათხოვოს, ადამიანი მაინც უნდა შეებრძოლოს ისეთ დამამცირებელ მოთხოვნებებს. დეე, მისი ბრძოლა სრულებით უნაყოფო იყოს, მისთვის საზარალოც: სინდისის შერჩენისა და ამალღებისათვის უნაყოფო ბრძოლა და მსხვერპლიც გაცილებით უფრო პატიოსანია, ვიდრე სინდისის მოქნა და ყოველგვარი სისაძაგლის წინაშე მორჩილათ ქედის მოღრეკა. დღევანდელი დრო სრულებითაც არ ითხოვს მას, რომ ყოველი ადამიანი, ვისაც კი ცხოვრება უნდა, ბეგლარსა და პორფირის დაემზგავსოს. და ჩვენც, მკითხველო, ამ რწმენით გამოვემშვიდობოთ ოტია ქამუშაძეს და მასთან ერთათ მის ბედში მყოფთ: მათთვის საჭიროა, აუცილებელია მოქალაქობრივ გზაზე დადგომა, მაგრამ ამ გზაზე

შემდგაროთ ზნეობას შერჩენა და ამალღება არ უნდა ავიწყდებოდეს. რადგანაც სინდისი, პატიოსნება, ერთმანეთის თანაგრძნობა, ერთი მეორის ინტერესთა დაცვა ადამიანის ბუნების საუკეთესო სამკაულია და უამისოთ ადამიანი ხომ ორფეხა მხეცი იქნება მხოლოდ.

ივ გომარული.

ივანის მჭანის თაგვალსაქალი

მოთრობა

სოფლის ცხოვრებიდან

III *)



ოლიკოს პირველ ხანებში „ქალაქ ქვეით“ ყოფნა ეძნელებოდა. ის აქ თავისუფლათ ვერა გრძნობდა თავს, მისი სახე ხშირათ დაღონებული იყო. მუშაობის დროს, როდესაც სხვა დანარჩენი

მუშების ხუმრობა-ლაზღანდარობა და სიცილი „ლაფატკების“ წკრილთან ერთათ გაისმოდა ჰაერში, ილიკო დაღვრემილი სახით წყნარათ მუშაობდა. თუმცა ახლა მისი თვალები მიწას ჩაცქეროდენ, რომელსაც მისი „ლაფატკა“ ზანტათ თხრიდა, მაგრამ მის წარმოდგენაში კი სამშობლო სოფელი, დედ-მამა, და-ძმა, ნათესავები და სხვანი რიგ-რიგათ იხატებოდენ. სალამოთი კიდევ, როდესაც მუშები სამუშაოს მორჩებოდენ, შეიყრიდენ ერთათ თავს „კაზარმაში“ და მოჰყვებოდენ ლაზღანდარობა-ბლღაძუნობას, ილიკო მიჯღებოდა ცალკე სადმე კუნჭულში და ოცნებით გაფრინდებოდა ხოლმე საყვარელ სოფლისკენ. ის იქ ნათლათა ჰხედავდა თავის სახლს, მის კარმიდამოს, დედ-მამას, და-ძმას, ნათესავებს, მეზობლებს; ემუსაიფებოდა მათ სხვადა-სხვა საგნებზე. ან კიდევ წარმოიდგენდა სოფელში დატოვებულ ამხანაგებს, მათთან ერთათ გატარებულ დროს და ამ ტკბილ ფიქრებსა და წარმოდგენაში ჩაეძინებოდა, სიზმარშიაც კი ესენი ელანდებოდენ. დილით გაღვიძებაზე ილიკო ჯერ ვერ გამოერკვეოდა. მას თავის თავი სოფელში ეგონა, მაგრამ შეუბრალებელი სინამდვილე. მუშების ხმაურობა, „კაზარმის“ კედლები, და სხვა მალე გამოარკვედენ ხოლმე ილიკოს ამ ოცნებებადან. და გულ ჩაწყვეტილს გაამგზავრებდენ სამუშაოსკენ.

*) იხ. „კვალი“ № 30.

საქართველო

ადრე დედმამის და სოფლის სიყვარულს ვერა გრძნობდა, მაგრამ ახლა, როდესაც ყველა ამბებს მოშორდა და ამ სიყვარულმა, ერთი-ორათ გაძლიერებულმა, იჩინა თავი. მისი მდგომარეობა „ქალაქ ქვეით“ ახლათ სოფლიდან ჩამოყვანილ პატარა მიწაფის მდგომარეობას ჰგავდა. ის, პატარა მოსწავლესავით, დიდი აღტაცებით მოელოდა სოფელში წასვლას. მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც თავის სოფელს შორიდან მოჰკრავდა ხოლმე თვალს. ამ წუთებში ილიკოს ერთის მხრივ სამშობლო სოფლის და დედ-მამის ნახვა ახარებდა, მეორე მხრივ, ის აზრი, რომ თავის მიტანილი ფულებით დედ-მამას გაახარებდა.

ივანესაც გულში ნათელი ესახებოდა, როდესაც ილიკო უბიდან ამოდებულ სავსე ტყავის ქისას მიაწოდებდა — „ახლა კი ღმერთმა მომხედა“, გაივლებდა ის გულში. მაგრამ მალე ეს ნათელი სიბნელეთ გარდაიქცეოდა ხოლმე, რადგანაც ილიკოს მოტანილი ფული, ივანეს შრომასთან ერთათ, ძლივს უძღვებოდა დაცემულ და გაღატაკებულ ოჯახს; ვალი მაინც ისევ მძიმე ვარძათ აწვა ივანეს გულზე.

ილიკო პირველათ სიხარულით მიდიოდა სოფელში და დაღონებული გაემგზავრებოდა ხოლმე „ქალაქ ქვეითის“ გზაზე. მაგრამ რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენათ ილიკო ურიგდებოდა თავის მდგომარეობას; იმდენათ ის უხორცდებოდა უცხო ქვეყანაში ცხოვრებას. ის ახლა მონაწილეობას ღებულობდა ამხანაგების ხუმრობა-ლაზღანდარობაში. ერთი სიტყვით ქალაქ ქვეითურმა ცხოვრებამ თავის ჰკუთხე წაიყვანა ილიკო, მისი ხასიათი მან შეუმჩნევლათ გამოცვალა. ილიკო აქ შეეჩვია პაპიროზის წევას; შეისწავლა ცოტადენი რუსული, რამაც ნასწავლათ ჩათვლივინა მას თავი. ახლა ილიკოს სულ სხვა ფიქრები და გრძნობები გამოამგზავრებდენ ხოლმე სოფლისაკენ. მოვიდოდა ილიკო სოფელში კახტათ ტანისამოსში გამოწყობილი: ყელიანი ჩაკეცილი ჩუსტებით, გულზე საათით, ქუდით გვერდზე, წინ დაყენებული ქოჩორით, პაპიროზით პირში და ამაყათ, აქეთ-იქით ცქერით, გაივლ-გამოივლიდა სოფელში თავის ამხანაგებთან ერთათ. ახლა მას სულ „ძმობა“ და „ქეიფი“ ეკერა პირზე. ილიკოს ლაპარაკის კილოც სულ სხვა ჰქონდა; ის დაცინოდა „გლეხურათ“ ლაპარაკს. როგორც სოფლელები ამბობენ, ილიკო „ქალაქურათ“ ლაპარაკობდა. ილიკომ „ქეიფის“ ან კიდევ ისე ლაპარაკის დროს ხშირათ იცოდა თავის ამხანაგებთან რუსულათ დალაპარაკება, რომელიც უიმისოთაც ამბლებულ ილიკოს, უფრო ამბლებდა სოფლელების წარმოდგენაში. ილიკოც გრძნობდა, ხედავდა, რომ ის „რალაც“ იყო მათ თვალში და ეს ერთი-ორათ აძლიევდა გულს, აჭიმინებდა მას კისერს.

ილიკო თითონაც ვერ ამჩნევდა, რომ „ქალაქ ქვეითს“ შეუხორცდა. რამდენათაც მისი კავშირი „ქალაქ ქვეით“ თან მაგრდებოდა, იმდენათ მის გულში სამშობლოს სიყვარული ცივდებოდა. მის შეუმჩნევლათ „ქალაქ ქვეითი“ სამშობლო სოფლის ალაგს იქერდა. ილიკოც კარგათ ხედავდა, რომ ახლა მას სოფელში აღარ ეცხოვრებოდა. მას სოფელური ცხოვრება აღარ იზიდავდა, აღარ მოსწონდა. ივანე, რომელმაც წინეთ თვითონვე გაგზავნა ილიკო სამუშაოზე ახლა, როცა კი შინ მოვიდოდა ეს უკანასკნელი, ეუბნებოდა: — „შენ მიწა-წყალს თავს რათ ანებებ, შეილო, რატომ სოფელში არა დგები!..“ მაგრამ ილიკო მამის ლაპარაკს ყურსაც არ ათხოვებდა. ის ახლა უფრო გვიან-გვიან მოდიოდა შინ; ფულსაც იშვიათათ-ლა გზავნა. ხშირათ, როცა მეზობლები ლაპარაკს ჩამოუგდებდენ ივანეს ილიკოზე, ის იმედ-გადაწყვეტილ და ამოოხვრით იტყოდა: — „ეჰ, ილიკო გაპაქარნდა, გაკინტოვდა!..“ ამ სიტყვებში თან ილიკოს შეცოდება და თანაც მისი შეზიზღება იხატებოდა.

ივანე დიდ გაჭირვებაში ჩავარდა; ჯანი მას აღარ მოსდევდა და ღონე. ამ დროს ივანეს ცოლი თეკლე გარდაიცვალა. ამ უბედურობამ ივანეს თავზარი დასცა, ისედაც დაბეჩავებულს. როგორც იყო ვაი-ვაგლახით დაპარხა ცოლი. დედის სიკვდილი ვერ მოინელა ელენემ და ისიც მალე უკან დაედევნა საყვარელ დედას. ილიკომ გვიან გაიგო დედის და დის სიკვდილი; მოვიდა შინ, გამოიტირა ორივენი და სამუდამოთ მოშორდა სოფელს. ივანე დარჩა მარტოკა თავის შაქროთი, რომელიც ამ დროს ცამეტი წლისა იყო. მისი მამული მოვალეს დარჩა. ივანე ნელ-ნელა ჩამოხმა, თმა სულ გაუთეთრდა, წელში რკალივით მოიხარა და ბოლოს იმ უბედურებაში და სისაწყლემში დალია სული, რომელიც მკითხველმაც იცის ამ მოთხრობის პირველი თავიდან.

IV

შაქრო, მამის სიკვდილ შემდეგ, დარჩა უპატრონოთ, მიწურ სახლში გამოწყვდელი. პირველათ ის, როგორც ობოლი, ყველას ებრალებოდა. ხშირათ აწოდებდენ მეზობლები სასმელ-საჭმელს. შაქრო ჯერ-ჯერობით ამითი იოლათ გამოდიოდა. მაგრამ გადიოდა დრო და ჟამი, რომელიც ნელ-ნელა აგრილებდა მეზობლების ამ ნაირ გულ-კეთილობას და ობოლ შაქროს თავის ანაბარათ ტოვებდა. უღმობელი კუჭი კი, რასაკვირველია, თავისას თხოულობდა, რომლის დაკმაყოფილება შაქროს არ შეეძლო. აი ამან აამოძრავა და ამოქმედა

შაქრო; ის დღეს ერთ გლეხს მიეხმარებოდა, რომელსავე საქმეში, ხვალ მეორეს, ზეგ მესამეს და ასე ამნაირათ ირჩენდა თავს. მაგრამ ეს სახსარი სულ მუდამ არ მოეპოვებოდა შაქროს, ამიტომაც მას ბევრჯერ მშიერს დაუღამებია დღე.

შაქრო საწყალი და გაუბედავი იყო, სოფლის გათამამებულ ბიჭებს დაბრიყვებული ჰყავდათ. შაქრო ჯერ სულ ერიდებოდა მათ და თუ როგორმე გაერეოდა ბიჭებში, მაშინვე ეს უკანასკნელნი აიგდებდნენ მასხარათ და დაუწყებდნენ დაცინვას. ვინ იცის რას არ იტყოდნენ შაქროზე!.. შაქრო ყველა ამას თავჩაღუნული, გაწითლებული სახით ითმენდა, რადგანაც კარგათ იცოდა თავისი უძლურება; ან კი რა გაუვიდოდა თავ-წასულ ბიჭებთან ობოლს და უპატრონო შაქროს!.. სიტყვითაც არ აკმარებდნენ მასხარათ აგდებას; როცა შაქრო ბიჭებში გაერეოდა, ერთ-ერთი მათგანი, ცოტა სხვებზე უფრო თავ-წასული, მიეპარებოდა შაქროს უკანიდან და ჩაპკრავდა თავში, ეს ხარხარს გამოიწვევდა ბიჭებში, გაბრაზებული შაქრო ლანძღვით მიმართავდა ჩამკვრელს:

— რას მერჩი, რატო თავს არ დამანებებ?!..

— მე არა ვყოფილვარ მე და ჩემმა ღმერთმა, აი ის იყო, გაიმართლებდა თავს ჩამკვრელი და სხვაზე მიუთითებდა; შაქრო ამ უკანასკნელს მიუბრუნდებოდა; ეს კიდევ სხვაზე მიუთითებდა. საწყალი შაქრო ვერ იპოვნიდა ნამდვილ დამნაშავეს და ანთებული სახით, შტერივით შეცქეროდა ხან ერთს, ხან მეორეს და ხან მესამეს.

როგორც ზემოთა ვთქვით, შაქრო ბევრჯერ დარჩენილა მშიერ-მწყურვალნი, მაგრამ მას არ შეეძლო გაეგრძელებინა ასეთი ცხოვრება. რა გზითაც უნდა ყოფილიყო, უნდა დაეკმაყოფილებინა თავისი უმთავრესი მოთხოვნილება. სწორე გზით კი ის მუდამ ვერ აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნილებას. აი ამნაირმა პირობებმა გამოაძებნინეს შაქროს სხვა წყარო ცხოვრებისათვის, მან ქურდობას მიჰყო ხელი. ჯერ ზაფხულობით ვენახებს შეეჩვია. თუმცა ბევრჯერ მოასწრეს შაქროს ვენახებში და კარგათ გაბერტყეს, მაგრამ ეს ცემა პირიქით, ახელოვნებდა, გაკვეთილს აძლევდა მას ამ ხელობაში. შემდეგში ნელ-ნელა ხელი მიჰყო წვრილ ფეხსაც; ის იპარავდა ქათმებს, ინდოურებს, ბატებს და სხვას. ზოგს თითონა ჭამდა და ზოგს კიდევ ახლო ქალაქებში ჰყიდდა. რასაკვირველია ახლა ეს ის შაქრო აღარ იყო, რომელსაც წინეთ თავში უბრაზუნებდნენ. ახლა ის დავაჟაკდა, უღვაშზე ხელს ისვამდა. შაქრომ წვრილ-ფეხის პარვაც აღარ იკადრა; მალე სხვილ-ფეხსაც მიჰყო ხელი. გაუამხანავდა ახლო სოფლის ქურდებს, გაიჩინა ამქარი. შაქრომ ბევრი გლეხ-კაცი აატირა ცხარე ცრემლით, ბევრის სახლი გაანადგურა. სოფელში იცოდნენ ვინც იყო

ქურდი, მაგრამ ყველას ემინოდა შაქროსი და ამიტომაც მას ვერას უბედავდნენ, „გადამკვიდვბა და სულ ამამტუტებსო“ ყველა ასე ფიქრობდა, თუმცა კი ბევრ მათგანს ეწოდა მისგან გული; შაქროც კარგათ გრძნობდა თავის ძალას და ეს მას უფრო გულადათ ამოქმედებდა. მართალია, ბევრჯერ გაება შაქრო მახეში, ბევრჯერ მოასწრეს მას ქურდობაზე, დაიჭირეს და საპატიმროში უტრეს თავი, მაგრამ ეს მაინც ვერ აშლევინებდა მას ქურდობას. შაქროს არც ეთაკილებოდა საპატიმროში ჯდომა; მას პირიქით უხაროდა კიდევ; „აქ მზა-მზარეული მომდის, სახლში მე თვითონ უნდა ვეწვლო და ისე ვკამოვო“, ფიქრობდა შაქრო. როდესაც საპყრობილეში ჩასვამდნენ, ის იქ დარჩებოდა იმდენ ხანს, რამდენსაც გადუწყვეტავდნენ; კარგათ გაისუქებდა კისერს და უფრო გაწვრთნილი და დახელოვნებული გამოვიდოდა საპატიმროდან.

შაქრო მეტის-მეტათ გათამამდა. ის აღარ მალავდა თავის ქურდობას და ყველას ამითი აშინებდა. ამნაირი ქცევით მან თავი მოაძულა მთელ სოფელს. გლეხები ხედავდნენ შაქროში ბოროტ კაცს, თავზე ხელ-აღებულ ქურდს, ყაჩაღს, რომლის მოშორებაც მათთვის საჭიროებათ გადიქცა. შაქროც ხედავდა, რომ მას სოფელში აღარ ეცხივრებოდა და გაბრაზებული, გაბოროტებული ადგა ერთ ბნელ ღამეს, ნაბადში გახვეულმა დაიპარა მრავალი საქონელი და ამით უკანასკნელათ გამოეთხოვა სამშობლო სოფელს. მეორე დღით თავ-ზარ დაცემული სოფლელები აქეთ ეცენ, იქით ეცენ, მაგრამ ვეღარას გახდნენ; მათი საქონელი ჩაიყლაპა. ყველას ერთნაირათ ეწოდა გული, რადგანაც ყველანი ერთ ტაფაში იწოდნენ. აი ასეთმა მათმა მდგომარეობამ შეაერთა ისინი შაქროს წინააღმდეგ, მათ გადაწყვიტეს: რა გზითაც უნდა ყოფილიყო, შაქრო სოფლიდან გაეძევებინათ, მაგრამ აღარც შაქრო ფიქრობდა სოფელში დაბრუნებას,



გავიდა რამდენიმე წელიწადი. გაზაფხულის კვირა დღე იყო. სოფელში აქა-იქ შეკრეფილიყვენ გლეხები და ხმა მალლა მასლაათობდნენ. ამ დროს სამხრეთიდან დაიძრა პატარა შავი ღრუბელი, რომელიც თანდათან იზრდებოდა და ნელ-ნელა მზეს აბნელებდა. პატარა ხანს უკან დაუშვა შხაპუნა, ძლიერი, წვიმა. სოფლელები ფაცა-ფუციით დაიფანტნენ სახლებში. ისინი თუმცა ემალებოდნენ წვიმას, თითქო მისი ემინიანთო, მაგრამ ტკბილათ კი იღიმებოდნენ. ბევრი მათგანი ვარბოდა და თან იძახოდა: „წვიმავ, წვიმავ“ დაუ-

შეი, ჩვენ ჯეჯილში ჩაუშვი“. ბავშების სიხარულს ხიამ სახლდარი აღარა ჰქონდა, ჯერ რიგიანათ არც კა იქნებოდა ვადაღებული, რომ ისინი ჟრიამულით გამოცვივდენ სახლებიდან და ლურჯ-შარვლებ აკარწახებულნი შეცვივდენ ნიაღვარში.

ამ ნიაღვარს, რომელიც შუა სოფელზე მოხსრილობდა, ერთი გუნდი ბავშებისა ჟივილ-ხივილით ასდევ-ჩასდევდა. ბავშები აგუბებდენ წყალს, მერე უშვებდენ და სიხარულით მისდევდენ უკან. მაგრამ რამდენი ხანიც ვადიოდა იმდენათ წყალი კლებულობდა, პატარა ნიკამ რომელიც წყალს აგუბებდა, უცბათ აიღო თავი მაღლა, გასწორდა წელში და დაიძახა:

— „ბიჭებო?!“ ამ დაძახებამ ბავშებს ყურები მარდათ აცქვეტიანა.

— წამო, ივანიანთ ნაოხრიდან გამოუგდოთ წყალი.

— წამო!.. ერთხმათ შესძახეს ბავშებმა და უცბათ მოჰკურცხლეს ნაოხრისკენ.

ყველაზე უწინ ნიკამ მიირბინა ნაოხართან და დაუწყო პატარა ბარით მიწას თხრა, „ვინც არ დაუგდოს ბარია, ამოუვარდეს გვარია“-ს ძახილით მიცვივდენ დანარჩენი ბავშებიც და იმავე სიტყვის ყვირილით, ზოგმა პატარა ბარით, ზოგმა ჩხირით დაუწყეს მიწას თხრა. ბავშების ჟრიამულმა ყურადღება მიიქცია იქვე ახლო, საბძლის გვერდზე მდგომ რამოდენიმე კაცისა.

— ძან გამოიცვალა ეს ჩვენი წუთი სოფელი! ამოოხვრით თქვა ხანში შესულმა კაკომ, რომელიც მახარა წამოსხმული, ქვაზე იჯდა და ჩიბუხს ეწყოდა.

— როგორ, კაკო? დაეკითხა მის გვერდზე მდგომი ერთი ახალგაზდა გლეხთაგანი, რომელიც ვერ მიმხვდარიყო თუ რაზე თქვა კაკომ ეს სიტყვები. კაკომ, თითქო კითხვა ვერ გაიგონაო, ჯერ ჩიბუხი გამოიღო პირიდან, მერე გვერდზე გადააფურთხა, ცერი გადისვ-გადმოისვა დიდ-გაბადრულ ულვაშებზე, ჩიბუხი ისევ პირში ჩაიღო, ამოჩიჩქნა ჩიბუხი მის ტარზე ჩამოკიდებულ ნემსის მგზავსი რკინით და დაიწყო.

— ისე რომ, აი წუნწუხით სავსე ნაოხრის ადგილას წინეთ ივანე კოკოშვილის სახლიყო გადაქიმული; ახლა კი, ხედავთ, როგორ გაცივდა მისი კვრა?!.

ამ სიტყვებმა ივანე და მისი ოჯახი გახადეს სალაპარაკო საგნათ. აქ ყველა, ვისაც კი რამე ახსოვდა ივანეს ცხოვრებიდან, რიგრიგით მოჰყვა ლაპარაკს. მათ ლაპარაკში ივანეს კარგი თვისებები ვადამეტებით იხატებოდენ.

— ახლა იმისთანა ბიჭები ძნელათ დაიბადებიან, დაბოლოვა ივანეზე ლაპარაკი კაკომ, რომელსაც ჩიბუხი პირიდან გამოეღო და ხელის გულზედ იბერტყავდა.

— თითონ კი ძან კაი კაცი იყო, მაგრამ რა შვილები გამოუვიდა?... თქვა გულზე ხელ დაკრფილმა გიომ, რომელიც საბძლის ბოძს მიჰყუ-

დებოდა. — იტყვიან მამა ნახე, დედა ნახე, შვილები ისე გამოიხანო; აგერა, შვილონიასა, კაი მამა ვინაა... ხე, კაი დედა ვნახე და შვილები კი გამოიხანე. ახლაც ისევა მტკივა გული შაქროსაგან ჩემი ნიშა-ხარი რომ გააპარა. ამ სიტყვებმა შეცვალეს სალაპარაკო საგანი. თითონ ლაპარაკმაც სხვანაირი ხასიათი მიიღო. ყველა, ნამეტნავათ ისინი, ვისაც გული ეწოდა შაქროსაგან, ზიზლით და ურიგოთ იხსენიებდა მას.

— ახლა სად არიან ილიკო და შაქრო? იკითხა კაკომ, როცა გლეხებმა შაქროს ურიგოთ ხსენებით კარგათ მოიფხანეს გული.

— რა ვიცი, ამ წინაზე რო ბიჭები მოვიდენ ქვეიდანა იმათა თქვეს, რომ ილიკო ქალაქის ტანციაში მუშაობსო და შაქროს თურმე დუქანი გაუტეხნია და მეტეხის ციხეში ზისო, თქვა გიომ.

ამ დროს ბანზე ვადმოდგა გზირი დიდი კომბლით მხარზე ვადებული.

— ხალხო, მამასახლისი გეძახით.

ამ დაძახებამ შეაწყვეტინა გლეხებს ლაპარაკი და ზანტათ ვაამგზავრა მამასახლისისაკენ.

პართენაშვილი.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლასა.

ОТЪ КОНТОРЫ ГАЗЕТЫ „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ.“

Издание газеты „Новое Обозрѣніе“ будетъ возобновлено

съ 18 августа настоящаго года.

Подписчики прошлаго года, непожелавшіе взять обратно оставшихся за конторой денегъ, будутъ получать газету **безъ доплатъ** съ 18-го августа по 1-е октября. Тѣ изъ нихъ, которые пожелаютъ получать газету и затѣмъ, съ 1-го октября по 1-е января 1901 г., доплачиваютъ 2 руб. 50 коп. Новые же подписчики за время съ 18-го августа по 1-е января 1901 года платятъ 3 руб. 50 коп.

Подписчики прошлаго года, въ случаѣ перемѣны адреса за время до 18-го августа, сообщаютъ о томъ заблаговременно въ контору „Нов. Обозр.“, причеиъ особой доплаты за перемѣну адреса не вносятъ.

ДЛЯ ПРИЕМА ПОДПИСКИ И ОБЪЯВЛЕНІЙ контора (Барятинская, д. кн. Тумановыхъ) открыта по вторникамъ и пятницамъ—отъ 6 до 7 час. вечера.